ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.223.03.

ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა

(CPV - 22300000)

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **„25“ მაისი, 2018 წელი.**

ერთის მხრივ, საქართველოს **შსს სსიპ - „112“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **ავთანდილ ჩიტაძის** სახით, რომელიც მოქმედებს შსს სსიპ „112“ - ის დირექტორის 2018 წლის 29 იანვრის N225944 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ **შპს „ფრანი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის **ნიკოლოზ ფიროსმანიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 24 მაისის #1218575 პატაკის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი არის: სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა, ***ცხრილი N1***-ის მიხედვით.

ცხრილი N1

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	ზომის ერთეული	რ-ბა	ერთ.ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო თანხა (დღგ-ს ჩათვლით)
1	მოსაწვევი ბარათი კონვერტით	მოსაწვევი - ზომა 17X12,5 სმ, ორმხრივი ბეჭდვა CMYK სრულ ფერში; 280 გრ. ტილო; (20 ცალი ქართულენოვანი, 30 ცალი ინგლისურენოვანი) კონვერტი - ზომა 14X18,5 სმ, ზედა მარცხენა მხარეს ბრენდირებული ორგანიზაციის ლოგოთი, 100 გრ. ტილო (±5გრ); თვითწებვადი დალუქვით;	ცალი	50	4.20	210.00
2	დღის განრიგი (პროგრამა)	ზომა 17X12,5 სმ, ორმხრივი ბეჭდვა CMYK სრულ ფერში; 100გრ. ტილო (±5გრ); (20 ცალი ქართულენოვანი, 30 ცალი ინგლისურენოვანი)	ცალი	50	0.50	25.00
					სულ	**235.00**

2.2 დაფინანსების წყარო - შსს სსიპ - „112“-ის 2018 წლის საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **235.00 (ორასოცდათხუთმეტი) ლარს, დღგ - ს ჩათვლით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება არაუგვიანეს 2018 წლის 29 მაისისა.
ბ) საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა.
გ) მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.2 შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი მხარე - შსს სსიპ „112“-ის ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი - სალომე ჩუხუა და საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - დავით ნინუა.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 2%-ის ოდენობით;
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.5 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების გათვალისწინებით.
9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2018 წლის 25 მაისიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი რჩება შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი:</u>

შსს სსიპ - „112"
ს/ნ 204579429
იურ/ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა
მიმღ. ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი 707147050

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „ფრანი"
ს/ნ 401947293
მის: ქ. თბილისი, მესამე ახალი რეხის N2
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE83TB 7563 1360 2010 0001

დირექტორის მოადგილე
ავთანდილ ჩიტაძე

დირექტორი
ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი „25“ მაისი, 2018 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ შსს სსიპ - „112“-ის მიერ 2018 წლის 25 მაისს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შპს „ფრანისგან“ ღია ბარათების, მისალოცი ბარათებისა და სხვა ნაბეჭდი მასალის (CPV – 22300000)** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შსს სსიპ „112“-ის დირექტორის მოადგილე - **ავთანდილ ჩიტაძე**

შსს სსიპ „112“-ის საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი

თეონა დანელია

შსს სსიპ „112“-ის ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მენეჯერის

ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი - **სალომე ჩუხუა**

შსს სსიპ „112“-ის საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

დავით ნინუა

MIA 3 18 01218575

24/05/2018

შსს სსიპ 112-ის დირექტორის მოადგილეს,
პოლიციის პოლკოვნიკ **ავთანდილ ჩიტაძეს**

მოგეხსენებათ,რომ მიმდინარე წლის მარტიდან შსს სსიპ 112-ში შეიქმნა ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახური. სამსახურის მიზანია უწყებამ პარტნიორული ურთიერთობები დაამყაროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან.

აქვე გაცნობებთ, რომ შემუშავდა სსიპ 112-ის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები. უწყებაში მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტზე და დაგეგმილია რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება საკითხით დაინტერესებული დონორი ორგანიზაციებისგან.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ამა წლის 8 ივნისს შსს სსიპ 112 გეგმავს მაღალი დონის ღონისძიების მოწყობას, სადაც მოწვეულები იქნებიან პარტნიორი ქვეყნების ელჩები და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიებაზე მოწვეული პირები გაეცნობიან 112-ის ახალ სტრატეგიას, მიმდინარე პროექტებს, სტრატეგიულ გეგმებს და ისაუბრებენ პოტენციურ თანამშრომლობაზე. ეს მნიშვნელოვანი შანსია 112-ისთვის, რათა დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები და მოიპოვოს ფინანსური მხარდაჭერა პროექტით დაინტერესებული ორგანიზაციებისგან.

ღონისძიება მოეწყობა 40 ადამიანზე. ღონისძიებაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკონფერენციო დარბაზი, სადილი 40 ადამიანზე, სინქრონული თარგმანისთვის საჭირო აპარატურა, სინქრონული თარგმანის სპეციალისტის მომსახურება (2 საათით). ღონისძიებაზე მოწვეულ პირებს უნდა დაეგზავნოთ მოსაწვევი ბეჭდური სახით დღის წესრიგთან ერთად, ბრენდირებულ კონვერტში მოთავსებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს შემდეგი მომსახურების შესყიდვა:

- 40 ადამიანზე საკონფერენციო დარბაზი, სადილი და სინქრონული თარგმანისთვის საჭირო აპარატურა
- სინქრონული თარგმანის მომსახურება (2 საათით)
- სახელობითი მოსაწვევი ბეჭდური სახით (50 ცალი)
- დღის წესრიგი ბეჭდური სახით (50 ცალი)
- ბრენდირებული კონვერტი (50 ცალი)

გთხოვთ, მიბმული ფაილის სახით იხილოთ მოსაწვევის, დღის წესრიგის და კონვერტის სპეციფიკაციები. მათი დიზაინები გადაიგზავნება პირდაპირ მომწოდებელთან.

სალომე ჩუხუა

შსს სსიპ „112“-ის ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის
პროექტების მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი